საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/64

ქ. ბათუმი **29 დეკემბერი, 2022 წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - **სტომატოლოგიური კლინიკის ,,ბსუ დენტი“ დებულების** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს **წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის **ფაკულტეტის დებულების** დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №2 გადაწყვეტილების, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური **დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების,** „დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის სხდომის N07-02/12 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - **სტომატოლოგიური კლინიკის ,,ბსუ დენტი“ დებულების** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის №4 გადაწყვეტილებაში **შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, გადაწყვეტილების №1 დანართი შეიცვალოს და **ჩამოყალიბდეს ახალი,** წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული **რედაქციით (№1 დანართი).**
2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა და სტომატოლოგიურმა კლინიკამ ,,ბსუ დენტი“ **წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებები** (სამსახურებრივი ბარათი) სტომატოლოგიურ კლინიკაში ,,ბსუ დენტი“ სტომატოლოგიური მომსახურების (მათ შორის ფასიანი) გაწევისათვის საჭირო საკანონმდებლო მოთხოვნების შესასრულებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (გამოსაცემი სამართლებრივი აქტების თაობაზე: ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დასამტკიცებელი განახლებული პრეისკურანტის (ტარიფების) და ხარჯთაღრიცხვის შესახებ, ექიმი-სტომატოლოგების დასაქმების და შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ და სხვა აქტები).
3. წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გამოიცეს ბსუ-ს მართვის ორგანოთა შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, აბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტომატოლოგიურ კლინიკას ,,ბსუ დენტი“. საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2022 წლის 29 დეკემბრის №64 გადაწყვეტილების
№1 **დანართი**
(განახლებული რედაქცია 2016 წლის 13 ივლისის №4
გადაწყვეტილების №1 დანართი)

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი" დებულება

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი"/,,ბსუ") საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის (შემდეგში ,,ფაკულტეტი") სტომატოლოგიური კლინიკის ,,ბსუ დენტი" (შემდეგში - ,,კლინიკა" ან ,,სტომატოლოგიური კლინიკა") საქმიანობის წესსა და პროცედურებს.

2. სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი" საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დაჯანდაცვის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულია, რომელშიც **ხორციელდება** პედაგოგიური და სამეცნიერო – კვლევითი პროცესი და ამბულატორიული სტომატოლოგიური მომსახურება (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული და ორთოდონტული სტომატოლოგიური დახმარება), საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და სერტიფიცირებული პერსონალის, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების **მქონე ექიმი-სტომატოლოგების) მიერ.**

3. სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი" საქმიანობას წარმართავს ,,უმაღლესი განათლების შესახებ", ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ'', ,,საექიმო საქმიანობის შესახებ", ,,პაციენტის უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონების, უნივერსიტეტში სტომატოლოგიის მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში - **,,უმაღლესი პროგრამები"),** რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების (შემდეგში - **,,სარეზიდენტო პროგრამები"),** ასევე უწყვეტი სამედიცინო განათლების ტრენინგ-პროგრამების (შემდეგში - **,,უსგ პროგრამები")** განხორციელების მარეგულირებელი და სტომატოლოგიური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის", ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების, ბსუ-ს მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი" ფუნქციონირებს **ბსუ-ს N3 კორპუსში**

(ბსუ-ს იურიდიულ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/N32).

5. კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. კლინიკის საქმიანობის მიზანი

კლინიკის საქმიანობის მიზანია ფაკულტეტის სტომატოლოგიის მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (კლინიკური კომპონენტის/ პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების) ასევე, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული კურსების/მოდულების, უწყვეტი სამედიცინო განათლების ტრენინგ-პროგრამების კლინიკის ბაზით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. კლინიკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. კლინიკის საქმიანობის ძ**ირითადი მიმართულებებია:**

1.1. ფაკულტეტის სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის/პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების განხორციელება, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების მიერ:

ა) სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე - პლასტმასისა და ადამიანის ექსტრაგირებულ კბილებზე, ფანტომ მულაჟზე, სიმულატორებსა და სხვა სასწავლო მოწყობილობებზე მანიპულაციის ჩატარება, სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად;

ბ) სწავლების კლინიკურ ეტაპზე - პროგრამის კლინიკური/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პერსონალთან (კლინიკის ექიმებთან) ერთად, მათი უშუალო მეთვალყურეობით და პასუხისმგებლობით სტუდენტის მიერ პაციენტისათვის კლინიკური პროცედურების ჩატარება;

1.2. რეზიდენტურის პროგრამების განხორციელება, რომელიც მოიცავს თეორიულ მზადებასა და პრაქტიკულ აქტივობას - პაციენტის მიღებას კლინიკაში, პროგრამის მოდულებზე პასუხისმგებელი პირების მეთვალყურეობითა და პასუხისმგებლობით;

1.3. დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული კურსების/მოდულების განხორციელება;

1.4. კლინიკის ბაზაზე უწყვეტი პროფესიული განვითარება: უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაბამისი პროგრამების და ტრეინინგების განხორციელება;

1.5. სასწავლო-მეთოდოლოგიური სამუშაოების წარმოების პროცესში ქვეყანაში აღიარებული პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო **(სტომატოლოგიური) ამბულატორიული მომსახურების** განხორციელება, **მათ**

შორის:

ა) **თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურების სფეროში:** კბილის მაგარი ქსოვილების დეფექტების აღდგენას მაღალხარისხიანი, ესთეტიკური საბჟენი მასალებით; არხების სრულფასოვან მკურნალობას, რომელიც ხორციელდება უმტკივნეულოდ, გაუტკივარების თანამედროვე საშუალებებითა და მეთოდების გამოყენებით; ღრძილების და ლორწოვანი გარსის დაავადებათა მკურნალობას; კბილების ჰიგიენურ, პროფესიულ წმენდასა და გათეთრებას; სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისაკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარებას;

ბ) **ქირურგიული** <u>სტომატოლოგიური მომსახურების სფეროში:</u> სარძევე და მუდმივი კბილების მარტივი და რთული ექსტრაქცია (ამოღება), გაუტკივარების სრული გარანტიით; "რეტენციული" (ყბაში მდებარე) კბილების ამოღება; მცირე მოცულობის ოპერაციული ჩარევები ლორწოვან გარსზე: ენის, ტუჩის მოკლე ლაგამის პლასტიკა; ლორწქვეშა კისტების ქირურგიული მკურნალობა; მე-8 კბილების ჩანასახების უმტკივნეულო ამოღება;

გ) **ორთოპედიული** <u>სტომატოლოგიური მომსახურების სფეროში:</u> კბილებისა და კბილთა მწკრივების დეფექტების სრულ აღდგენა, სხვადასხვა კონსტრუქციებით თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნათა შესაბამისად; კლინიკაში შეიძლება დამზადდეს კერამიკისა და პლასტმასის, ასევე მეტალკერამიკის, მეტალპლასტმასისა და ლითონის გამოშტამპული გვირგვინები; ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი პროთეზები როგორც მყარ, ასევე ელასტიურ ბაზისზე. აგრეთვე "ბიუგელისებური" პროთეზი;

დ) **ორთოდონტიული** <u>სტომატოლოგიური მომსახურების სფეროში:</u> მკურნალობის საბოლოო მიზანი – ლამაზი ღიმილი ნებისმიერ ასაკში - გულისხმობს ცალკეულ კბილთა დგომის, მათი არასწორი შეთანასოვნების მკურნალობას და პროფილაქტიკას. თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტების დროს ცალკეული, არასწორად მდგომი კბილების, კბილთა არასწორი მწკრივების, ყბის ფორმის გასწორებას თანამედროვე ორთოდონტული მასალებით და კონსტრუქციული აპარატების საშუალებით, კერძოდ, მოსახსნელი ფირფიტოვანი, ფუნქციური აპარატებითა და თანამედროვე ბრეკეტ - სისტემებით, რომლებიც უშუალოდ კბილებზე ფიქსირდება;

ე) **დენტალური** <u>იმპლანტაციის მომსახურების სფეროში:</u> კბილებისა და კბილთა მწკრივების დეფექტების აღდგენას თანამედროვე დენტალური იმპლანტების გამოყენებით; დენტალური იმპლანტაციის დაგეგმვას, პაციენტის კლინიკურ გამოკვლევას, მათ შორის 3D კონუსურ-სხივური კომპიუტერული ტომოგრაფიის შეფასებას; დენტალური იმპლანტების ჩანერგვას თანამედროვე პროტოკოლებისა და გაუტკივარების მეთოდების გამოყენებით; დაუყოვნებელი, ადრეული, სტანდარტული და გადავადებული იმპლანტაციის მეთოდების განხორციელებას; აუგმენტაციის, სინუს-ლიფტინგისა და სხვა მოსამზადებელი ქირურგიული ჩარევების ჩატარებას შესაბამისი ჩვენებების მიხედვით; იმპლანტებზე დაყრდნობილი მოსახსნელი და მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციების დამზადებას თანამედროვე ფუნქციური და ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად; დენტალური იმპლანტაციის მკურნალობასთან დაკავშირებული გართულებების პრევენციასა და მართვას; პოსტიმპლანტაციური ჰიგიენის, მეთვალყურეობის და პროფესიული

მოვლის უზრუნველყოფას.

ვ) **რენტგენოდიაგნოსტიკური** <u>მომსახურების სფეროში:</u> დენტალური ვიზიორენტგენოგრაფიისა და ყბა-სახის კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარებას; პირის ღრუსა და ყბა-კბილთა სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკის მიზნით პირშიგნითა და პირგარეთა რენტგენოდიაგნოსტიკის უზრუნველყოფას; კბილების, პაროდონტის, ძვლოვანი ქსოვილებისა და ფესვთა არხების მდგომარეობის შეფასებას; თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული და იმპლანტოლოგიური მკურნალობის დაგეგმვისათვის საჭირო რენტგენოდიაგნოსტიკის განხორციელებას; მკურნალობის პროცესისა და შედეგების კონტროლს რენტგენოლოგიური მონიტორინგის გზით; რენტგენოლოგიური გამოსახულებების დამუშავებას.

2. კლინიკაში განსახორციელებელი <u>სტომატოლოგიის მიმართულებით ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების</u> სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული კლინიკური კომპონენტის მოცულობა (საათი) და შესასრულებელი მანიპულაციების (ჩარევა) რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო წლის/სემესტრის დასაწყისში. ამავე პერიოდში განისაზღვრება კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური ან/და მოწვეული **პერსონალის** (შემდეგში - ექიმი-სტომატოლოგები) **შრომითი დატვირთვა.**
3. სარეზიდენტო პროგრამის კლინიკურ მოდულებზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა (რეზიდენტის მიერ პროგრამის კლინიკური მოდულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამედიცინო მანიპულაციების (ჩარევების) მეთვალყურეობა და პაციენტის მიღებაზე პასუხისმგებლობა) განისაზღვრება სარეზიდენტო პროგრამის განხორციელების დაგეგმვის ეტაპზე, სწავლის დაწყების წინ.
4. სტომატოლოგიის მიმართულებით ბსუ-ს უმაღლესი პროგრამის/სარეზიდენტო პროგრამის/უსგ პროგრამის კომპონენტების/სწავლების ფარგლებში (პროგრამის სასწავლო გეგმის/აკადემიური კალენდრის/პროგრამის განხორციელების ვადებში) **პაციენტებისათვის კლინიკაში გასაწევი სტომატოლოგიური საექიმო მომსახურება ძირითადად, უფასოა** და საექიმო მომსახურების გამწევი პერსონალის - ბსუ-ს **აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის** (შემდეგში - **ექიმი-სტომატოლოგები**) შრომა <u>დამატებით ანაზღაურებას არ ექვემდებარება</u> **(შენიშვნა:** დასაქმებული ასრულებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაო დატვირთვას, რაც ანაზღაურდება <u>ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო დატვირთვის შესრულების შემთხვევაში: გაიცემა</u> აკადემიური თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგო/ანაზღაურდება საათობრივი ანაზღაურების წესით ან/და სარეზიდენტო პროგრამების/მოკლევადიანი ტრენინგ-მოდულების პერსონალის დატვირთვის და ხარჯთაღრიცხვის ბრძანებისა და შესაბამის დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად).
5. კლინიკაში შეიძლება განხორციელდეს **ფასიანი** <u>სტომატოლოგიური საექიმო მომსახურება, ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების (დადგენილი ტარიფების/მომსახურების ღირებულების) შესაბამისად.</u>

მუხლი 4. კლინიკის პერსონალი

1. ბსუ-ს სტომატოლოგიური კლინიკის ,,ბსუ დენტი“ პერსონალის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის (კლინიკის) საშტატო განრიგით გათვალისწინებული დამხმარე თანამდებობის პირები: **დირექტორი**, **მთავარი სპეციალისტი, სტერილიზაციის მედდა** (დასაშვებია კლინიკის საშტატო განრიგით გათვალისწინებული იქნეს სხვა საშტატო ერთეულები ან/და მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმდეს პირები, კლინიკის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე).

2. კლინიკის დამხმარე პერსონალის **ფუნქციათა აღწერილობა** (სამუშაო ინსტრუქცია) მტკიცდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

3. კლინიკის პერსონალად განიხილება ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სტომატოლოგიური მომსახურების განმახორციელებელი, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირები - **ექიმი-სტომატოლოგები** („საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.“).

4. ექიმი-სტომატოლოგები სტომატოლოგიურ საექიმო მომსახურებას უწევენ კლინიკის პაციენტებს:

ა) უფასო მომსახურების გაწევის შემთხვევაში - დამატებითი შრომითი ანაზღაურების გარეშე, როცა აღნიშნული მომსახურება სრულდება წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომითი დატვირთვის ფარგლებში, მათთან **გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე** (1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ თანამდებობის პირთან/მოწვეულ მასწავლებელთან/უფროს მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება; 2. რეზიდენტურის (პროფესიული მზადების) პროგრამის მოდულის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება; 3. უსგ პროგრამის განმახორციელებელ მოწვეულ პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება);

ბ) ფასიანი მომსახურების გაწევის შემთხვევაში (არ იგულისხმება პროგრამების/მოდულების შრომითი დატვირთვის შესრულების ფარგლებში მიღებული პაციენტების მომსახურება) - **დამატებითი შრომითი ანაზღაურებით,** მათთან დამატებით გაფორმებული **შეთანხმების, საქართველოს კანონმდებლობის,** ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტების ან/და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა აქტების შესაბამისად.

მუხლი 5. კლინიკის დირექტორი

1. კლინიკას ხელმძღვანელობს კლინიკის დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანის წარდგინებით და რექტორთან შეთანხმებით.
2. კლინიკის დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს ექიმ-სტომატოლოგად მუშაობის <u>არანაკლებ **5 (ხუთი)** წლის გამოცდილება</u> ან/და სტომატოლოგიური კლინიკის მართვის სფეროში მუშაობის <u>არანაკლებ 3 (სამი) წლის</u> გამოცდილება.
3. კლინიკის დირექტორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე (ამ პირთა უფლებამოსილების/კომპეტენციის გათვალისწინებით).
4. **კლინიკის დირექტორის ფუნქციებია:**

ა) ხელმძღვანელობს კლინიკის საქმიანობას, ანაწილებს მოვალეობებს კლინიკის პერსონალს შორის, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს, დავალებებს და აკონტროლებს მათ მიერ სამსახურეობრივი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას;

ბ) ადგენს კლინიკის ყოველწლიურ ბიუჯეტს, შესყიდვების გეგმას და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

გ) შეიმუშავებს კლინიკაში განსახორციელებელი <u>ფასიანი და უფასო სტომატოლოგიური მომსახურების შესახებ</u> სამართლებრივი აქტების გამოცემისათვის (ან/და არსებულ აქტებში ცვლილებების შეტანისათვის) წინადადებებს, ფაკულტეტის დეკანთან და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან შეთანხმებით და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

დ) ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს კლინიკის პერსონალის სამუშაო აღწერილობის (ინსტრუქციის) პროექტებს (ან/და ცვლილებების პროექტს, საჭიროების შესაბამისად), ასევე კლინიკის სტრუქტურაში და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებებს;

ე) ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს კლინიკის პერსონალის წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის თაობაზე;

ვ) კლინიკის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების მიზნით, ახორციელებს კლინიკის მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე და ქონების მოვლა-პატრონობაზე;

ზ) მონაწილეობს სტომატოლოგიური მიმართულებით ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, სარეზიდენტო პროგრამების და უსგ პროგრამების **აკრედიტაციის პროცესში** (ინიციატივების განხილვაში მონაწილეობა, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობის, მატერიალური რესურსების (სასწავლო ბაზა, მასალამედიკამენტები), უსაფრთხოების ნორმების/რეგულაციების

მოთხოვნების დაცულობის შესწავლა-მონიტორინგის შედეგად შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა, შესყიდვების ორგანიზება, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის მომზადებაში და ბსუ-დან უფლებამოსილ უწყებაში წარდგენის პროცესში ჩართულობა, ექსპერტთა სააკრედიტაციო ვიზიტებში მონაწილეობა და სხვა საჭირო აქტივობები);

თ) უზრუნველყოფს (აორგანიზებს) კლინიკის სტომატოლოგიური საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული **სანებართვო/სალიცენზიო მოთხოვნების დაცულობას** (სტომატოლოგიური მომსახურების შესახებ საქმიანობის დაწყების შეტყობინება; მომსახურების გამწევი ექიმი-სტომატოლოგების მიერ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ფლობა; კლინიკაში დასასაქმებელი/დასაქმებული ექთნების/მედდების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობა);

ი) უზრუნველყოფს (აორგანიზებს) კლინიკის სტომატოლოგიური საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული **სივრცული და ინფრასტრუქტურული** მოთხოვნების დაცულობას (**ფართი:** კაბინეტი უნდა იყოს საკმარისი ფართობის, რათა დაცული იყოს მუშაობის ერგონომიული და ჰიგიენური პირობები;**ზონირება:** კლინიკაში მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული სუფთა (სტერილური) და ჭუჭყიანი ზონები. **კომუნიკაციები:** აუცილებელია მუდმივი წყალმომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია (ბუნებრივი ან მექანიკური) და გათბობა/კონდიცირება. **ზედაპირები:** კედლები, იატაკი და ჭერი უნდა იყოს მასალისგან, რომელიც ექვემდებარება სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავებას);

კ) უზრუნველყოფს (აორგანიზებს) კლინიკის სტომატოლოგიური საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული **სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური** მოთხოვნების დაცულობას (**სტერილიზაცია:** ინსტრუმენტების დეზინფექციისა და სტერილიზაციის ციკლი უნდა იყოს სრული. აუცილებელია ავტოკლავის არსებობა; **პირადი დაცვის საშუალებები:** პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური სამოსით, ხელთათმანებით, ნიღბებით/ფარებით; **ნარჩენების მართვა:** სამედიცინო ნარჩენების (მათ შორის, ბასრი საგნების) სეგრეგაცია, შენახვა და გატანა უნდა ხდებოდეს წესების დაცვით);

ლ) უზრუნველყოფს (პასუხისმგებელია) კლინიკის სტომატოლოგიური საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნების შესრულებას;

მ) კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებით საჭირო კომისიების (მათ შორის ეთიკისა და სამედიცინო სტანდარტების) შექმნის თაობაზე წინადადებებს (სამსახურებრივ ბარათს) წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს;

ნ) ზედამხედველობას უწევს კლინიკის ფარგლებში ბსუ-ს დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი (რეზიდენტურა, რეზიდენტურის ალტერნატიული ფორმა) და უწყვეტი პროფესიული განვითარების (პროფესიული მზადება და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება) პროგრამების განხორციელებას **(მათ შორის უფასო სტომატოლოგიური მომსახურების** მიმღები პაციენტების შერჩევის

პროცესს);
ო) ზედამხედველობას უწევს კლინიკის საქმიანობის ხარისხის მართვას, და კლინიკის პაციენტთა უსაფრთხოების, უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას, კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად;
პ) კოორდინირებას/ადმინისტრირებას უწევს კლინიკის საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო დოკუმენტების წარმოებას, ასევე სხვადასხვა დოკუმენტაციის (ანგარიშების/სტატისტიკური მონაცემების/წერილობითი შეტყობინებების და სხვა) მომზადებას და შესაბამისი უწყებისათვის დადგენილ ვადებში ბსუ-ს მიერ გაგზავნის პროცესს (ბსუ-ს ფაკულტეტის დეკანთან და ბსუ-ს მართვის ორგანოებთან შეთანხმებით და სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით);
ჟ) კოორდინირებას/ადმინისტრირებას უწევს კლინიკის პერსონალის (მათ შორის ექიმი-სტომატოლოგების/მედდების/ექთნების და სხვა პერსონალის) შრომითი საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცულობას და უზრუნველყოფს (ხელს უწყობს) პერსონალის განახლებული პირადი დოკუმენტაციის (განათლების/კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი ცნობების/სერტიფიკატების) დადგენილ ვადებში მათ პირად საქმეებში განთავსებისათვის წარმოდგენის პროცესს;
რ) პასუხისმგებელია კლინიკის საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის, ფაკულტეტის დებულების, ამ დებულებისა და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების, ფაკულტეტის დეკანის და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამსახურებრივი განკარგულებების შესრულებაზე.

5. კლინიკის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული პირი (ან/და არასაშტატო პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული).

მუხლი 6. კლინიკის ქონება, დაფინანსება და ხარჯები

1. კლინიკა საქმიანობის განხორციელებისათვის სარგებლობს ბსუ-ს მოძრავი და უძრავი ქონებით და უზრუნველყოფს მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებას.
2. კლინიკის საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური რესურსი განისაზღვრება ბსუ-ს ბიუჯეტით. კლინიკის მატერიალური რესურსის შესყიდვების გეგმა (ხარჯთაღრიცხვა) განისაზღვრება/მტკიცდება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ (კლინიკის დირექტორის წარდგინებით, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით).
3. კლინიკაში განსახორციელებელი ფასიანი სტომატოლოგიური საექიმო მომსახურების ღირებულება (მათ შორის შეღავათიანი მომსახურების), ტარიფები/პრეისკურანტი, ხარჯთაღრიცხვა, ასევე ექიმი-სტომატოლოგის შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაცემის წესი განისაზღვრება (მტკიცდება) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
4. კლინიკის დაფინანსების წყაროებია:

ა) ბსუ-ს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
ბ) კლინიკის მიერ გაწეული ფასიანი სტომატოლოგიური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
გ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

1. კლინიკის დებულება დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან ძალადაკარგულად ცნობა ხდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ბსუ-ს რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინიციატივით).